„2024-2027 წლების საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის“ შესრულების წლიური ანგარიში

(საანგარიშო პერიოდი: 2025 წლის იანვარი-დეკემბერი)

სარჩევი

1. **მოკლე შეჯამება** 3

2. **შესავალი** 9

3. **ზოგადი პროგრესი** 12

3.1. **სტრატეგიული მიზანი 1**. მომხმარებელზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის სტატისტიკის წარმოება მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად 17

3.2. **სტრატეგიული მიზანი 2**. ნდობისა და თანამშრომლობის გაძლიერება მონაცემთა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისა და მონაცემთა მართვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების მიზნით 26

3.3. **სტრატეგიული მიზანი 3**. მომხმარებლების მიერ არსებულ მონაცემთა გამოყენების ხელშეწყობა 32

4. **გამოწვევები და რეკომენდაციები** 36

1. მოკლე შეჯამება

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 24 აპრილის № 150 დადგენილებით დამტკიცდა 2024-2027 წლების საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგია და მისი განხორციელების 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა. აღნიშნული სტრატეგიით და შესაბამისი სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია კონკრეტული პრიორიტეტული მიზნები, ამოცანები და მათი მიღწევისათვის განსახორციელებელი აქტივობები, რომლებიც დროშია გაწერილი და განსაზღვრულია მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებები.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 აგვისტოს № 308 დადგენილებით დამტკიცდა უწყებათაშორისი საბჭოს (დროებითი) შემადგენლობა, რომელსაც თავმჯდომარეობდა საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი. თუმცა, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 11 მარტის № 70 დადგენილებით „ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ შეიქმნა ახალი საკოორდინაციო მექანიზმი (მუდმივმოქმედი). ამ დადგენილების თანახმად, განახლებული უწყებათაშორისი საბჭო ითავსებს სტრატეგიის შემუშავების, მისი განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მაკოორდინირებელი საბჭოს ფუნქცია-მოვალეობებს. ამასთან, ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 აგვისტოს № 308 დადგენილება. უწყებათაშორისი საბჭო წარმოადგენს სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მაკოორდინირებელ ორგანოს. საბჭო კოორდინაციას ახორციელებს სამდივნოს მეშვეობით, რომლის ფუნქციას ასრულებს საქსტატის სტრატეგიული დაგეგმვის და კოორდინაციის დეპარტამენტი.

მონიტორინგის ანგარიში შედგენილია „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბერის № 629 დადგენილების საფუძველზე.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს საანგარიშო პერიოდს 2025 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით და წარმოდგენილია წლიური ანგარიშისა და მასზე თანდართული სტატუსანგარიშის სახით.

2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა მოიცავს 91 აქტივობას. მათგან 68 აქტივობის განხორციელების დასრულება დაგეგმილი იყო საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, რომელთაგან 8 აქტივობა წინსწრებით განხორციელდა 2024 წელს; დანარჩენი 60 აქტივობიდან საანგარიშო წელს დასრულდა მუშაობა 56 აქტივობაზე, განხორციელდა მეტწილად – 2 აქტივობა, ხოლო ნაწილობრივ – 1 აქტივობა, არ დაწყებულა – 1 აქტივობა. სამოქმედო გეგმის 91 აქტივობიდან სრულად განხორციელდა 86 აქტივობა, მეტწილად განხორციელებულია 3 აქტივობა, ნაწილობრივ – 1 აქტივობა, არ დაწყებულა მუშაობა 1 აქტივობაზე. განხორციელებული აქტივობების შესაბამისი დადასტურების წყაროები მითითებულია ანგარიშის დანართში (იხ. კონსოლიდირებული სტატუსანგარიში, ცხრილის მე-18 სვეტი). იმ აქტივობების თაობაზე, რომლებზეც მუშაობა არ დასრულებულა, დეტალურ მიმოხილვას გაეცანით მე-4 თავში – „გამოწვევები და რეკომენდაციები“.

ინფორმაცია 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის სამივე მიზნის აქტივობების სტატუსების განაწილების შესახებ, მათი განხორციელების დონის შესაბამისად, წარმოდგენილია დიაგრამაში:



ამოცანების მიხედვით 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების დონე, მათი სტატუსების შესაბამისად:



სულ 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების (აქტივობების პროგრესის მაჩვენებლის საფუძველზე) საშუალო მაჩვენებელია **98%.**

უფრო დეტალურად განხორციელების საშუალო მაჩვენებელი თითოეული მიზნისთვის იხილეთ დიაგრამაზე:



სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანების განხორციელების დონე, რომელიც ასევე გაანგარიშებულია სტატუსანგარიშში მოცემული აქტივობების პროგრესის მაჩვენებლის საფუძველზე, შემდეგია:



2024-2025 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების საფუძველზე, ამოცანების შედეგის ინდიკატორების სამიზნე მაჩვენებლების

შუალედური შეფასების თვალსაზრისით, დასახული ამოცანებიდან 5 ამოცანის შედეგის ინდიკატორის (7 ინდიკატორი) შუალედური სამიზნე მაჩვენებლები (დაგეგმილი 2025 წლისთვის) მიღწეულია. მათგან 4 ინდიკატორის მაჩვენებელი გაუმჯობესებულია საბოლოო სამიზნე მაჩვენებლის დონემდე. შემდგომი 2 წლის სამუშაოები ემსახურება მიღწეული პოზიტიური შედეგების შენარჩუნებასა და დანარჩენი ამოცანების მიმართულებით პროგრესულ ცვლილებებს. სტრატეგიის ლოგიკური ჩარჩო მოიცავს სულ 12 შედეგის ინდიკატორს 9 ამოცანის ფარგლებში მიღწევების შესაფასებლად. დეტალურად ამოცანების მიმოხილვა იხილეთ მე-3 თავის („ზოგადი პროგრესი“) ქვეთავებში თითოეული მიზნისთვის.

თუ 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელებას განვიხილავთ უწყებების (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკი; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; ტრანსპორტის სააგენტოები[1]) ჭრილში, აქტივობების განხორციელების სტატუსების საფუძველზე ვითარება შემდეგია:



აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება ასევე უზრუნველყოფს ევროსტატის, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE), ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) მიერ ჩატარებული სტატისტიკის ეროვნული სისტემის გლობალური შეფასების რეკომენდაციების შესრულებას. ბოლო გლობალური შეფასება (ოფიციალური სახელწოდებით „სტრატეგიული შეფასება“) ჩატარდა 2024-2027 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის მომზადების პარალელურად, 2023 წლის სექტემბერში. შედეგად, ძირითადი

[1] სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება.

რეკომენდაციები აისახა სტრატეგიის ფარგლებში სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვის ნაწილში.

სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანების ფარგლებში ერთ-ერთ ყველაზე დიდ მიღწევად და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითად შეიძლება გამოვყოთ 2024 წლის მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. 2024 წლის 14 ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა მოსახლეობის აღწერის საველე სამუშაოები ჩაატარა. აღწერის ფარგლებში მონაცემების შეგროვებისას გამოყენებული იყო ორი მეთოდი: კომპიუტერის დახმარებით ვებ-ინტერვიუ მეთოდი (CAWI) და კომპიუტერის დახმარებით პერსონალური ინტერვიუ (CAPI). 2025 წლის პირველ ნახევარში ცალკეულ შემთხვევებში განხორციელდა მონაცემების გადამოწმება/დაზუსტება მონაცემთა ხარისხის და მოცვის უზრუნველსაყოფად. გაანგარიშდა წინასწარი აგრეგირებული მაჩვენებლები და შედეგები გამოქვეყნდა 2025 წლის 25 ივნისს, რომელიც მოიცავს მოსახლეობის რიცხოვნობას რეგიონების და მუნიციპალიტეტების მიხედვით, სქესობრივ და საქალაქო-სასოფლო დასახლებების ჭრილში. აღწერის დეტალური (საბოლოო) შედეგები გამოქვეყნდება 2026 წლის ივნისში. აღწერა, თავისი მასშტაბითა და შინაარსით, წარმოადგენს უნიკალურ საინფორმაციო წყაროს მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ. აღწერის შედეგად მიიღება უახლესი ინფორმაცია მოსახლეობის რიცხოვნობის, მისი სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის, დასაქმების, განათლების, ჯანმრთელობისა და სხვა ინდიკატორების შესახებ.

გარდა ამისა, საუკეთესო პრაქტიკის მაგალითად უნდა გამოვყოთ ასევე მეტად მნიშვნელოვანი ეტაპი საქსტატში დაწყებული სტატისტიკური პროცესების მოდერნიზაციის მიმართულებით, რაც პროცესებზე ორიენტირებული ორგანიზაციული სტრუქტურისკენ სვლას და საქსტატში სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების სტანდარტული მოდელის – GSBPM-ის დანერგვას გულისხმობს. ეს მოდელი აღწერს და განსაზღვრავს ბიზნეს-პროცესების ერთობლიობას, რომელიც საჭიროა ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისთვის. ის უზრუნველყოფს სტანდარტულ ჩარჩოს და ჰარმონიზებულ ტერმინოლოგიას, რათა დაეხმაროს სტატისტიკურ ორგანიზაციებს თავიანთი სტატისტიკის წარმოების პროცესების მოდერნიზებაში, ასევე მეთოდებისა და კომპონენტების გაზიარებაში. ამ სტანდარტულ მოდელთან ერთად გამოიყენება ასევე სტატისტიკური ორგანიზაციის საქმიანობის სტანდარტული მოდელი – GAMSO. იგი აღწერს და განსაზღვრავს აქტივობებს, რომლებიც ტარდება ტიპურ ორგანიზაციაში, რომელიც აწარმოებს ოფიციალურ სტატისტიკას. ის აფართოებს და ავსებს სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების სტანდარტულ მოდელს, სტატისტიკური წარმოების მხარდასაჭერად საჭირო ახალი აქტივობების დამატების გზით, განსაკუთრებით, კორპორაციული მხარდაჭერის ნაწილში (მაგალითად, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ადამიანური რესურსების მართვა). საქსტატის სტატისტიკური ბიზნეს-პროცესების მოდერნიზაციის ეს მასშტაბური სამუშაო საწყის ეტაპზე ითვალისწინებდა ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმატებულ მაგალითებზე სტატისტიკის სამსახურებთან მჭიდრო თანამშრომლობას, GSBPM-ისა და GAMSO-ს წარმატებით დანერგვის გამოცდილების გაზიარების ჩათვლით, ევროკავშირის დაფინანსებული საჯარო სამსახურების დაძმობილების 2024-2026 წლების პროექტის (Twinning) „საქართველოს სტატისტიკის სისტემის შემდგომი გაძლიერება“ ფარგლებში. ამ პროექტის შესაბამისი ქვეკომპონენტისთვის დაგეგმილი ევროკავშირის (ფინეთი, გერმანია, იტალია) ექსპერტების 7 მისიიდან 2024-2025 წლებში შედგა 6 მისია. შერჩეული გამოკვლევებისთვის მომზადდა პროცესების დეტალური აღწერა, მოხდა

მათი გადატანა ArchiMate-ის პროგრამაში. ასევე, ადამიანური რესურსების სამმართველოს მიერ, თანამდებობათა სამუშაოს აღწერილობებზე დაყრდნობით, განხორციელდა თანამშრომელთა უნარების შეფასება საქსტატის დარგობრივ დეპარტამენტებსა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტში. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, შემუშავდა თანამშრომელთა პროფესიული განვითარების გეგმა 2026-2027 წლებისათვის. 2025 წლის ივნისში გათვალისწინებული იყო „ჩეინჯ ჩემპიონების" (მოდერნიზაციის პროცესის წარმმართველი ლიდერების) ტრენინგის (საქსტატის ხელმძღვანელობის დონეზე) ჩატარება, რაც ვერ განხორციელდა Twinning-ის პროექტის შეწყვეტის გამო. მომზადდა GSBPM მოდელზე გადასვლის ეტაპობრივი სამოქმედო გეგმა, რომლის თანახმადაც ახალი სტრუქტურის მოდელის პილოტირება დაიგეგმა საქსტატის შერჩეულ სტრუქტურულ ერთეულში.

რაც შეეხება მიმდინარე სამოქმედო გეგმის ბიუჯეტირების ნაწილს, 91 აქტივობიდან 70 აქტივობის განხორციელება დაიგეგმილი იყო ადმინისტრაციული ხარჯებით (შესაბამისი წლის საბიუჯეტო ასიგნებები). გარდა ადმინისტრაციული ხარჯებისა, სამოქმედო გეგმის სრულად განხორციელებისთვის განისაზღვრა დამატებითი თანხები, სულ 21 238 205 ლარის ოდენობით, საიდანაც 2024 წლის მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერასთან კავაშირებული აქტივობებისთვის გათვალისწინებული იყო 20 203 000 ლარი (მოსამზადებელი სამუშაოებისა და მედია კამპანიის ჩათვლით). სულ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოსაყოფი დამატებითი ხარჯი შეადგენდა 19 181 595 ლარს, ხოლო დონორების კონტრიბუცია – 1 864 610 ლარს. დეფიციტმა შეადგინა 192 000 ლარი.

2025 წელს დამატებითი დაფინანსების სახით გათვალისწინებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტის მხრიდან 11 000 000 ლარი, დონორების მხრიდან – 145 900 ლარი, ხოლო დეფიციტი შეადგენდა 87 000 ლარს. ჯამში წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო დამატებითი ხარჯი 11 232 900 ლარის ოდენობით. სახელმწიფო ბიუჯეტის მხრიდან მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერასთან დაკავშირებულმა ფაქტობრივმა ხარჯმა 2025 წელს შეადგინა 11 256 768.92 ლარი. დეფიციტური ნაწილი აქტივობისთვის 1.5.1 „თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგების ჩატარება" უზრუნველყო საქსტატმა ადმინისტრაციული ხარჯებით – მომზადდა სტატისტიკური სტანდარტების თემაზე სატრენინგო მასალები და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩაუტარდა ორი ტრენინგი შედარებით ახალმიღებულ ახალგაზრდა სტატისტიკოსებს. მეორე, დეფიციტური ბიუჯეტით, აქტივობა 3.1.5 „საქსტატის მენეჯმენტისა და საშუალო მმართველი რგოლის ტრენინგი მედიასთან ურთიერთობების საკითხებში" განხორციელდა 2024 წლის მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერისთვის დაგეგმილი აქტივობის 3.1.7-ის ფარგლებში („2024 წლის მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჩასატარებლად მედია კამპანიის მომზადება და ჩატარება") – საქსტატის მიერ ხელშეკრულებით დასაქმებულმა საზოგადოებასთან ურთიერთობის კონსულტანტმა საქსტატის მენეჯმენტს საზოგადოებასთან ურთიერთობის საკიხებში სამი ტრენინგი ჩაუტარა (ხელშეკრულების ფარგლებში).

დეტალური ინფორმაცია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პრიორიტეტული მიზნების, ამოცანების და მათი შესაბამისი აქტივობების განხორციელების შესახებ წარმოდგენილია სტატუსანგარიშის სახით (იხ. დანართი).

2. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების 2024-2027 წლების სტრატეგიისა და მის საფუძველზე შექმნილი 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის ანგარიშს. დოკუმენტი მომზადებულია პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების ეროვნული სახელმძღვანელო პრინციპების (შემდგომში – ეროვნული სახელმძღვანელო პრინციპები) და სტატისტიკის განვითარების ეროვნული სტრატეგიის (შემდგომში – სტრატეგია) შესაბამისად.

სტრატეგიის მიზანია საქართველოში სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების ზოგადი ხედვის განსაზღვრა, რომელიც ითვალისწინებს ეროვნულ და საერთაშორისო საჭიროებებს; პასუხობს მოთხოვნას პოლიტიკის შემუშავებისთვის საჭირო მონაცემებზე; განსაზღვრავს სტატისტიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს; უზრუნველყოფს სტატისტიკური ღონისძიებების ჩატარების გონივრულობას და ფინანსური რესურსების განაწილებას; წარმოადგენს ჩარჩოს საერთაშორისო თანამშრომლობისთვის; მოიცავს მონაცემების წარმოების პროცესის ყველა საფეხურს და შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს.

2024-2027 წლების სტრატეგია ქმნის საფუძველს ქვეყანაში სტატისტიკის ძლიერი და ერთიანი ეროვნული სისტემის განვითარებისათვის, რათა უზრუნველყოს ეროვნულ დონეზე პოლიტიკის შემუშავებისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისათვის ოფიციალური სტატისტიკის შეგროვება, დამუშავება, გავრცელება და გამოყენება გაეროს „ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპების“ და „ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსის“ შესაბამისად.

სტრატეგიის დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სისტემის სტრატეგიულ ხედვას ქვეყნის განვითარების პრიორიტეტებისა და შემდგომი საჭიროებების გათვალისწინებით. 2024-2027 წლების სტრატეგია ასევე მიზნად ისახავს ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებითა და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და მაღალი ხარისხის სანდო მონაცემებზე მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების კულტურის დამკვიდრებას.

2024-2027 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგია მიზნად ისახავს სტატისტიკის ეროვნული სისტემის შესაძლებლობების შემდგომ გაძლიერებას. იგი ხაზს უსვამს ევროსტატის „სტატისტიკური მოთხოვნების კრებულთან“ (Statistical Requirements Compendium, Eurostat) შესაბამისობის მნიშვნელობას, რაც კიდევ უფრო არსებითია საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭების ფონზე და, ამავდროულად, ხელს უწყობს ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების შესრულებას. მდგრადი, ეფექტიანი და პროფესიულად დამოუკიდებელი სტატისტიკის ეროვნული სისტემა საქართველოს მოქალაქეებს, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს, საერთაშორისო პარტნიორებსა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს უზრუნველყოფს სანდო და მათ საჭიროებებზე მორგებული ინფორმაციით.

სტრატეგია შემუშავდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სისტემის წევრებთან მჭიდრო თანამშრომლობით, წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინფორმაციის

ძირითად მომხმარებლებთან კონსულტაციების გზით, საჯარო და დაინტერესებულ პირებთან საკონსულტაციო შეხვედრებში ჩართულობით. 2024-2027 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესში საერთაშორისო ექსპერტის მონაწილეობა, ისევე, როგორც 2023 წლის გლობალური შეფასების რეკომენდაციების გათვალისწინება, უზრუნველყოფს საქართველოში ოფიციალური სტატისტიკის წარმოების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვას. ოფიციალური სტატისტიკის განვითარების გლობალური ტენდენციების გარდა, სტრატეგიის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იქნა სტატისტიკის განვითარებული სისტემების მქონე ქვეყნების საუკეთესო გამოცდილება.

2024-2027 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგია შემუშავდა გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) მხარდაჭერით. დოკუმენტი სრულ შესაბამისობაშია როგორც ეროვნული სახელმძღვანელოს, ისე PARIS21[2]-ის მიერ შემუშავებული ოფიციალური სტატისტიკის განვითარების ეროვნული სტრატეგიის სახელმძღვანელოს რეკომენდაციებთან.

სტრატეგიის შემუშავების პროცესის მაღალი დონის მხარდასაჭერად და სტატისტიკის ერონული სისტემის წევრების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, გამოყენებული იქნა საკოორდინაციო მექანიზმი. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 აგვისტოს № 308 დადგენილებით შეიქმნა უწყებათაშორისი საბჭო (დროებითი). თუმცა, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 11 მარტის №70 დადგენილებით „ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ შეიქმნა ახალი საკოორდინაციო მექანიზმი (მუდმივმოქმედი). მოგვიანებით, ამ დადგენილების თანახმად, განახლებული უწყებათაშორისი საბჭო ითავსებს სტრატეგიის შემუშავების, მისი განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მაკოორდინირებელი საბჭოს ფუნქცია-მოვალეობებს. ამასთან, ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 აგვისტოს №308 დადგენილება. უწყებათაშორისი საბჭო წარმოადგენს სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მაკოორდინირებელ ორგანოს, რომელიც კოორდინაციას ახორციელებს სამდივნოს მეშვეობით, რომლის ფუნქციას ასრულებს საქსტატის სტრატეგიული დაგეგმვის და კოორდინაციის დეპარტამენტი. საბჭოს შემადგენლობაში არიან სტატისტიკური ინფორმაციის მწარმოებელი და ძირითადი მომხმარებელი სამინისტროების (მინისტრის პირველი მოადგილეები ან/და მინისტრის მოადგილეები), საქართველოს ეროვნული ბანკის (პირველი ვიცე-პრეზიდენტი ან/და ვიცე-პრეზიდენტი) და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. უწყებათაშორის საბჭოსთან შექმნილია სამუშაო ჯგუფები (მათ შორის სტრატეგიის შემმუშავებელი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი), რომლის მიზანია სექტორული სტატისტიკის საკითხების განხილვა, შესაძლებლობების შეფასება და კონკრეტული მიმართულებების კოორდინაცია.

მონიტორინგის განხორციელების და ანგარიშის მომზადების მიზნით, სამდივნოს მუდმივი კომუნიკაცია აქვს შესაბამისი სამუშაო ჯგუფის წევრებთან, რომლებიც წარმოადგენენ ამა თუ იმ აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელ და პარტნიორ უწყებებს და მათ სტრუქტურულ ერთეულებს. მიმდინარე სამოქმედო გეგმის შესრულებაზე

[2] პარტნიორობა 21-ე საუკუნეში სტატისტიკის განვითარებისათვის, განვითარებადი ქვეყნებისათვის.

პასუხისმგებლები არიან: საქსტატის დარგობრივი დეპარტამენტები; საქართველოს ეროვნული ბანკი; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; ასევე, ტრანსპორტის სააგენტოები: სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება. უწყებათაშორისი საბჭოს სამდივნო ყოველწლიურად ამზადებს და წარადგენს მონიტორინგის შედეგებს წლიური ანგარიშის სახით, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობა ნახევარწლიურ პროგრესანგარიშს. მონიტორინგის წლიური ანგარიშის სტრუქტურა შემუშავებულია ეროვნული სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.

წლიური ანგარიშის მიზანია სტრატეგიის საფუძველზე შემუშავებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად აქტივობების და ამოცანების განხორციელების დონის შესახებ უახლესი ინფორმაციის წარმოდგენა. ანგარიში ყალიბდება პასუხისმგებელი უწყებებისგან მიღებული და კონსოლიდირებული სტატუსანგარიშის საფუძველზე (იხ. დანართი).

სტატუსანგარიშში აქტივობების განხორციელების დონის მიხედვით სტატუსების შინაარსი შემდეგია:



2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის შედეგები წლიურ ანგარიშში განხილულია „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს“ მე-7 დანართის შესაბამისად. აღნიშნული სახელმძღვანელო წარმოადგენს „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ განუყოფელ ნაწილს და განსაზღვრავს პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიასა და სტანდარტებს.

წარმოდგენილ წლიურ ანგრიშში ასახულია 2025 წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების გავლენა დასახულ მიზნებზე და შესაბამისი ამოცანების შედეგებზე.

3. ზოგადი პროგრესი

ხედვა: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სისტემის მონაცემთა მართვისა და განკარგვის ძლიერ და კარგად კოორდინირებულ მოდელად გარდაქმნა. ინოვაციური მიდგომებისა და ადაპტაციის უნარის გაძლიერებით, საქსტატი მზადაა შეასრულოს წამყვანი მაკოორდინირებელი ორგანოს როლი, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებისა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის მხარდასაჭერად, სანდო, დროული და მომხარებელზე ორიენტირებული ოფიციალური სტატისტიკის წარმოებაში.

2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა (შემდგომში – სამოქმედო გეგმა) მოიცავს 3 მიზანს, რომელიც შედგება 9 ამოცანისა და 91 აქტივობისგან. სტრატეგიით განსაზღვრული მიზნები და შესაბამისი ამოცანებია:

<u>I მიზანი</u> – მომხმარებელზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის სტატისტიკის წარმოება მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად:

ამოცანა 1.1 – ოფიციალური სტატისტიკის წარმოება მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებისა და ევროკავშირში ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის;

ამოცანა 1.2 – ადმინისტრაციული და მონაცემთა ალტერნატიული წყაროების დივერსიფიკაცია და გაფართოება;

ამოცანა 1.3 – მონაცემთა წარმოების პროცესების მოდერნიზაცია და ავტომატიზაცია მონაცემთა დროული, ზუსტი და ეფექტური დამუშავების უზრუნველსაყოფად;

ამოცანა 1.4 – ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და მონაცემთა საიმედო დაცვის უზრუნველყოფა;

ამოცანა 1.5 – მოქნილი და თანამედროვე სამუშაო გარემოს შექმნა.

<u>II მიზანი</u> – ნდობისა და თანამშრომლობის გაძლიერება მონაცემთა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისა და მონაცემთა მართვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების მიზნით:

ამოცანა 2.1 – ოფიციალური სტატისტიკის წარმოების პროცესში საქსტატის როლის გაძლიერება კოორდინაციისა და მონაცემთა მართვის მიმართულებით;

ამოცანა 2.2 – საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, საქსტატის, როგორც სანდო პარტნიორის პოზიციონირება ევროკავშირის სტატისტიკურ საზოგადოებაში და აქტიური ჩართულობა გლობალური სტატისტიკის განვითარებაში.

<u>III მიზანი</u> – მომხმარებლების მიერ არსებულ მონაცემთა გამოყენების ხელშეწყობა:

ამოცანა 3.1 – სტატისტიკის შესახებ ცნობიერების და ოფიციალური სტატისტიკისადმი ნდობის ამაღლება და მომხმარებლების მიერ არსებული მონაცემების უფრო აქტიური გამოყენება;

ამოცანა 3.2 – ოფიციალური სტატისტიკის ხელმისაწვდომობის გაზრდა მონაცემების გავრცელების ახალი და გაუმჯობესებული ინსტრუმენტების მეშვეობით.

იერარქიულად სამოქმედო გეგმის სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:



2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა მოიცავს 91 აქტივობას. 68 აქტივობის განხორციელების დასრულება დაგეგმილი იყო საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. მათ შორის 8 აქტივობა წინსწრებით განხორციელდა 2024 წელს; დანარჩენი 60 აქტივობიდან საანგარიშო წელს დასრულდა მუშაობა 56 აქტივობაზე, განხორციელდა მეტწილად – 2 აქტივობა, ხოლო ნაწილობრივ – 1 აქტივობა, არ დაწყებულა – 1 აქტივობა. ამ უკანასკნელი აქტივობების განხორციელების დეტალურ მიმოხილვას გაეცანით მე-4 თავში – „გამოწვევები და რეკომენდაციები“. განხორციელებული აქტივობების შესაბამისი დადასტურების წყაროები მითითებულია ანგარიშის დანართში (იხილეთ კონსოლიდირებული სტატუსანგარიში, ცხრილის მე-18 სვეტი). სულ სამოქმედო გეგმიდან სრულად განხორციელდა 86 აქტივობა. აქტივობების პროგრესის პროცენტული მაჩვენებლების შესაბამისად, **სამოქმედო გეგმის განხორციელების მაჩვენებელია 98%**.

ამოცანების შესრულების დონე, ამოცანების შედეგების საბაზისო, შუალედური და სამიზნე ინდიკატორები და მიღწეული პროგრესის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ასევე სტატუსანგარიშის ცხრილში (იხ. დანართი). ამავე ცხრილშია ინფორმაცია აქტივობების განხორციელების სტატუსის შესახებ და გატარებული ღონისძიებების მოკლე აღწერა.

ინფორმაცია სამივე მიზნის აქტივობების განხორციელების სტატუსების მიხედვით განაწილების შესახებ წარმოდგენილია დიაგრამაში № 1.

დიაგრამა № 1. 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის აქტივობების პროცენტული/ რაოდენობრივი განაწილება მათი სტატუსების მიხედვით, სულ სამივე მიზნისთვის



№ 2 დიაგრამაზე წარმოდგენილია სტრატეგიული მიზნების მიხედვით ამოცანების განხორციელების დონე, რომელიც გაანგარიშებულია სტატუსანგარიშში მოცემული აქტივობების შესაბამისი პროგრესის მაჩვენებლების საფუძველზე.

დიაგრამა № 2. მიზნების მიხედვით ამოცანების პროგრესის საშუალო პროცენტული მაჩვენებლები



სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებებია:

- საქსტატი – 80 აქტივობა;
- საქართველოს ეროვნული ბანკი – 2 აქტივობა;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – 1 აქტივობა;
- საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო – 1 აქტივობა;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – 6 აქტივობა;
- ტრანსპორტის სააგენტოები[3] – 1 აქტივობა.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქსტატის პასუხისმგებლობის ქვეშ დაგეგმილი აქტივობების განხორციელების პროცესში პარტნიორის სტატუსით ჩართულნი არიან: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, საქართველოს კულტურის სამინისტრო, საქართველოს სპორტის სამინისტრო.

სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესრულებაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება საქსტატს, როგორც ოფიციალური სტატისტიკის ძირითად მწარმოებელს და სტატისტიკის ეროვნული სისტემის მაკოორდინირებელ ორგანოს.

საქსტატის პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული 80 აქტივობის განაწილება განხორციელების სტატუსების მიხედვით წარმოდგენილია დიაგრამაში № 3.

დიაგრამა № 3. 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმიდან საქსტატის აქტივობების პროცენტული/რაოდენობრივი განაწილება განხორციელების სტატუსების მიხედვით



[3] სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება.

უწყებების მიხედვით აქტივობების განხორციელების სტატუსების განაწილება წარმოდგენილია დიაგრამაში № 4, ხოლო აქტივობების განხორციელების საშუალო მაჩვენებლები – დიაგრამაში № 5.

დიაგარამა № 4. 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის აქტივობების განხორციელების სტატუსების განაწილება უწყებების მიხედვით



დიაგრამა № 5. აქტივობების პროგრესის საშუალო მაჩვენებლები უწყებების მიხედვით, შესაბამისი აქტივობების რაოდენობების ვიზუალიზაციით



3.1. სტრატეგიული მიზანი 1. მომხმარებელზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის სტატისტიკის წარმოება მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად

ეროვნულ და რეგიონულ დონეზე მაღალი ხარისხის სტატისტიკის წარმოების მიზნით (მუნიციპალური და დარგობრივი სტატისტიკის ჩათვლით), საქსტატისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სისტემის სხვა წევრების მიზანია მომხმარებელთა საჭიროებებზე ორიენტაცია. შესაბამისად, საქსტატი და სისტემის სხვა წევრები მუდმივად მუშაობენ შესაძლებლობების გაძლიერებაზე სტატისტიკაზე გაზრდილი მოთხოვნისა და მომხმარებლების მრავალმხრივი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ეროვნული და პოლიტიკის პროგრამების შემუშავებით, საერთაშორისო სტანდარტებისა და კრიტერიუმების დაცვით. სწორედ ამიტომ 2024-2027 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი მიზანია საქსტატისა და სტატისტიკის სისტემის სხვა წევრების ერთობლივი ძალისხმევით უპასუხონ მომხმარებლის საჭიროებებს და მხარი დაუჭირონ მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას, მონაცემთა მფლობელებთან და საერთაშორისო სტატისტიკურ საზოგადოებასთან თანამშრომლობით.

ამ სტრატეგიულ მიზანს ორი მიმართულება აქვს: მოთხოვნადი მაღალი ხარისხის სტატისტიკის წარმოება და ოფიციალური სტატისტიკის მომხმარებლის საჭიროებებზე მორგების უზრუნველყოფა. პირველი მიმართულება გულისხმობს მათ შორის საქსტატის მიერ გაანგარიშებული მდგრადი განვითარების მიზნების ყველა შესაბამისი მაჩვენებლის ხელმისაწვდომობას და მონაცემების განახლებას. ვინაიდან სტრატეგია მომხმარებელზე ორიენტირებულ მიდგომას იზიარებს, სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლების კმაყოფილების დონე კიდევ ერთი მაჩვენებელია აღნიშნული მიზნის მიღწევის შედეგების გასაზომად. ამ მიზნის მისაღწევად და საჭიროებების გამოსავლენად მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს. მასზე დაყრდნობით ხდება სუსტი მხარეების გამოვლენა და ახალი გამოწვევების იდენტიფიცირება, რის საფუძველზეც ხდება უკვე კონკრეტული აქტივობების დასახვა სტატისტიკურ პროცესებში ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ამჟამად მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევას თავად საქსტატი ატარებს, თუმცა, სტრატეგიის პერიოდში მიკერძოებულობის თავიდან აცილების მიზნით, დაგეგმილია მსგავსი გამოკვლევის ჩატარება გარე დამოუკიდებელი კონსულტანტის ან ორგანიზაციის მიერ. ამ მიზნის ქვეშ თავმოყრილი ამოცანების შესაბამისი აქტივობების განხორციელების დონე წარმოდგენილია სტატუსანგარიშში მოცემული აქტივობების სტატუსების საფუძველზე (იხ. დიაგრამა № 8).

დიაგრამა № 8. 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის I მიზნის აქტივობების პროცენტული/ რაოდენობრივი განაწილება მათი სტატუსების მიხედვით



ქვემოთ მოცემულია დეტალური ინფორმაცია პირველი მიზნის ქვეშ ჩამოყალიბებული ხუთი ძირითადი ამოცანის შესახებ.

- **ამოცანა 1.1: „ოფიციალური სტატისტიკის წარმოება მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებისა და ევროკავშირში ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის“**

მაღალი ხარისხის სტატისტიკა უზრუნველყოფს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას ხელისუფლების ყველა დონეზე, კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებაში. ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე პროგრესი წარმოშობს დამატებით მოთხოვნებს მაღალი ხარისხის სტატისტიკის წარმოების მიზნით, მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების მხარდასაჭერად. ევროკავშირი ყურადღებას ამახვილებს მონაცემთა ხარისხსა და შესადარისობაზე როგორც პოლიტიკის, რეგულაციებისა და სტანდარტების ჰარმონიზაციისთვის აუცილებელ კომპონენტებზე. მომხმარებლების საჭიროებებისა და მაღალი ხარისხის სტატისტიკაზე მოთხოვნის გათვალისწინებით, საქსტატი და სტატისტიკის ეროვნულ სისტემაში შემავალი სხვა მწარმოებლები მიზნად ისახავენ ოფიციალური სტატისტიკის გაფართოებას, ახალი მაჩვენებლების წარმოებას და არსებული მაჩვენებლების დისაგრეგირებას (რეგიონების, სქესის მიხედვით და ა.შ.).

ამ ამოცანის განხორციელების ერთი ინდიკატორია განსაზღვრული:

ინდიკატორი 1.1.1. EU NUTS კლასიფიკაციის მიხედვით გაანგარიშებული ინდიკატორების რაოდენობა:

საბაზისო მაჩვენებელი: 0;

სამიზნე მაჩვენებელი:

შუალედური: 10;

საბოლოო: 30.

საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სტრატეგიის მოქმედების პერიოდში დაგეგმილია ახალი კლასიფიკაციებისა და მეთოდოლოგიების დანერგვა, რომელთა შორისაა, ევროსტატის ტერიტორიული ერთეულების ნომენკლატურა სტატისტიკისათვის (EU NUTS). ამ ნომენკლატურის დანერგვის მიზნით ტექნიკური დახმარება იყო გათვალისწინებული ევროკავშირის დაფინანსებული საჯარო სამსახურების დაძმობილების 2024-2026 წლების პროექტის (Twinning) ფარგლებში (პროექტის ქვეკომპონენტის სახით). ამ საკითხთან დაკავშირებით პირველი მისია საქსტატს ეწვია 2025 წლის იანვარში. ნომენკლატურის დანერგვის მოსამზადებელი სამუშაოების საწყის ეტაპზე ექსპერტებმა შეისწავლეს არსებული სიტუაცია, განიხილეს მიღწეული შედეგები ევროსტატის რეგიონული სტატისტიკის NUTS კლასიფიკაციის საქართველოში ეტაპობრივი დანერგვისთვის ჰარმონიზაციის გეგმის განხორციელების მიმართულებით, მოხდა რეგიონული დაყოფის წინასწარი სცენარების შეჯერება ძირითადი კრიტერიუმების გათვალისწინებით. მეორე მისია საქსტატს ეწვია მაისში. მორიგი ვიზიტის ფარგლებში NUTS კლასიფიკაციის საკითხზე ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა ტრენინგი საქსტატის თანამშრომლებისთვის, რეგიონული განვითარების სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით. განხილული იქნა ამ კლასიფიკაციის შესაბამისად რეგიონული სტატისტიკური მაჩვენებლების წარმოების შესაძლებლობა. 2025 წლის ივნისში Twinning-ის პროექტის შეწყვეტის გამო ამ კლასიფიკაციის დასანერგად გათვალისწინებული სამუშაოები სრულად ვერ განხორციელდა. შესაბამისად, ამ კლასიფიკაციის შემუშავება, დანერგვა და მის საფუძველზე ევროსტატის რეკომენდაციების შესაბამისი რეგიონული სტატისტიკური მაჩვენებლების წარმოება დაიგეგმა მომდევნო ორწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

მოსამზადებელი სამუშაოებიდან, ჰარმონიზაციის გეგმის განხორციელების ჭრილში, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 10 აქტივობა შესრულდა სრულად, 8 შესრულდა ნაწილობრივ. ამავდროულად, უკვე დაწყებულია სამუშაოები 2026 წელს დასასრულებელ ოთხ (4) აქტივობაზე.

უფრო დეტალური ინფორმაცია ამ ამოცანის ფარგლებში შესრულებული აქტივობების შესახებ მოცემულია სტატუსანგარიშში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით:

- ✓ **ამოცანა 1.1 შედეგის ინდიკატორის მაჩვენებელი ამ ეტაპზე უცვლელია. დასახული ამოცანის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების მიხედვით პროგრესის მაჩვენებელმა 98% შეადგინა.**

- **ამოცანა 1.2 „ადმინისტრაციული და მონაცემთა ალტერნატიული წყაროების დივერსიფიკაცია და გაფართოება“**

ოფიციალური სტატისტიკის სანდოობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი ადმინისტრაციული მონაცემების ხელმისაწვდომობა და მათი ხარისხია. საგულისხმოა, რომ ადმინისტრაციულ მონაცემთა წყაროების გაფართოება ახალი მაჩვენებლების წარმოების საშუალებას იძლევა; იხსნება დამატებითი ძვირადღირებული გამოკვლევების ჩატარების საჭიროება და მცირდება რესპონდენტთა დატვირთვაც. აღნიშნული ამოცანის ფარგლებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტივობას საქართველოში, ადმინისტრაციულ მონაცემებზე დაყრდნობით, მოსახლეობის რეგისტრის შექმნა წარმოადგენს. მოსახლეობის რეგისტრის შექმნის მიზნით საგზაო რუკის შემუშავება დაიწყო ევროკავშირის დაფინანსებული საჯარო სამსახურების დაძმობილების 2024-2026 წლების პროექტის (Twinning) ფარგლებში (პროექტის ერთ-ერთი კომპონენტია). 2024 წელს შედგა ექსპერტების პირველი მისია მოსახლეობის რეგისტრის დანერგვის საკითხებზე, რომლის განმავლობაში განხილული იყო არსებული სიტუაცია, შეფასდა მოსახლეობის რეგისტრის დანერგვის მიზნით შესაძლო ადმინისტრაციული წყაროები, ძირითადი გამოწვევები, მომზადდა 2025 წლის სამოქმედო გეგმა. საანგარიშო წელს პროექტი ვადაზე ადრე შეწყდა, ამიტომ მოსახლეობის რეგისტრის შექმნის მიმართულებით მოსამზადებელი სამუშაოები გაგრძელდა UNFPA-ის ტექნიკური მხარდაჭერით – დაიწყო საგზაო რუკის შემუშავება.

გარდა ამისა, სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის ბაზების შემდგომი გაუმჯობესება და სხვა რეგისტრების შექმნა და წარმოება არა მხოლოდ ხელს უწყობს ადმინისტრაციული მონაცემების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის ზრდას, არამედ ქმნის მონაცემთა ეროვნულ ეკოსისტემას. ადმინისტრაციული მონაცემებისა და რეგისტრების განვითარება სტატისტიკის ეროვნული ინფრასტრუქტურის განუყოფელი ნაწილია, როგორც მაღალი ხარისხის სტატისტიკური ინფორმაციის წყარო და შერჩევის ჩარჩო მიმდინარე სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარებისას. Twinning-ის პროექტის ერთ-ერთი კომპონენტი იყო ასევე „სახელმწიფო უწყებების პოტენციალის გაუმჯობესება ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისა და გამოყენების მიმართულებით“, რომლის ქვეკომპონენტია „ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისთვის ადმინისტრაციული მონაცემების გამოყენების გაზრდა“. 2024 წელს ამ პროექტის ფარგლებში ჩატარდა საქსტატში უკვე გამოყენებადი ადმინისტრაციული წყაროების ინვენტარიზაცია და გაიმართა პირველი სემინარი მოსახლეობის რეგისტრის დანერგვის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ჩართულობით. საანგარიშო წელს პროექტის შეწყვეტის გამო ვერ განხორციელდა საჯარო უწყებების ჩართულობით დაგეგმილი აქტივობები, რაც გულისხმობდა მათ ხელთ არსებული ადმინისტრაციული მონაცემების ინვენტარიზაციას, ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისთვის მათი გამოყენების მიზნით. ამ მიმართულებით მომავალი ორწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაიგეგმა აქტივობა „ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის საკოორდინაციო მექანიზმის წევრ უწყებებში არსებული მონაცემების და მათი სტრუქტურის ინვენტარიზაცია“.

ამ ამოცანის განხორციელების ერთი ინდიკატორია განსაზღვრული:

ინდიკატორი 1.2.1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების პროცესში გამოყენებული ადმინისტრაციული წყაროების წილი:

საბაზისო მაჩვენებელი: 36%;

სამიზნე მაჩვენებელი:

შუალედური: 38%;

საბოლოო: 40%.

ადმინისტრაციული და ალტერნატიული მონაცემების გაზრდილი გამოყენების ერთ-ერთი მამოძრავებელი მიზანი არის არა მხოლოდ დროისა და რესურსების ეფექტიანობის ზრდა, არამედ რესპონდენტებზე დატვირთვის მნიშვნელოვნად შემსუბუქება. სტრატეგიის ვადის განმავლობაში დაგეგმილია კომპლექსური ღონისძიებები რესპონდენტებზე დატვირთვის შემცირების უზრუნველსაყოფად ადმინისტრაციული მონაცემებისა და რეგისტრების შემდგომი განვითარება. მიმდინარე სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელდა აქტივობები ტრავმების რეესტრის, რეინტეგრაციის (ქვეყანაში დაბრუნებული ემიგრანტების) მონაცემთა ბაზის, სოციალური რეესტრის (რომელიც აერთიანებს რამდენიმე მონაცემთა ბაზას), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნა, ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების გაუმჯობესება და სხვ.

საანგარიშო წელს ადმინისტრაციულ მონაცემებზე დაფუძნებული სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების გაფართოების მიმართულებით პოზიტიური მაგალითია ადმინისტრაციულ მონაცემებზე დაყრდნობით 2025 წელს თბილისში ტაქსებზე გაცემული A და B კატეგორიის ნებართვების რაოდენობის შესახებ მონაცემების წარმოების დაწყება. ასევე, Twinning-ის პროექტის ფარლებში მიღებული ტექნიკური დახმარების ფარგლებში შეძენილი დამატებითი ცოდნისა და უნარების გამოყენებით, ადმინისტრაციულ მონაცემებზე დაყრდნობით, საანგარიშო წელს პირველად გამოქვეყნდა მონაცემები 2021-2024 წლებში საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური ინსპექტირების რაოდენობის შესახებ ინსპექტირების შედეგისა და ინსპექტირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების ტიპის მიხედვით. შედეგად გაფართოვდა ადმინისტრაციულ წყაროებზე დაფუძნებული ახალი ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება, თუმცა საანგარიშო წელს, სტატისტიკურ გამოკვლევებზე დაფუძნებული ინდიკატორების რაოდენობის ზრდის გამო, უცვლელია საანგარიშო პერიოდამდე გამოქვეყნებულ სტატისტიკურ ინფორმაციაში საქსტატის მიერ მოპოვებული და ადმინისტრაციული წყაროების საფუძველზე წარმოებული სტატისტიკური ინფორმაციის თანაფარდობა.

უფრო დეტალური ინფორმაცია შესრულებული აქტივობების შესახებ მოცემულია სტატუსანგარიშში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით:

- ✓ **ამოცანა 1.2-ის შედეგის ინდიკატორი ამ ეტაპზე უცვლელია საბაზო მაჩვენებელთან შედარებით. აქტივობების განხორციელების დონის საფუძველზე პროგრესის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 93%.**

- ➢ **ამოცანა 1.3 „მონაცემთა წარმოების პროცესების მოდერნიზაცია და ავტომატიზაცია მონაცემთა დროული, ზუსტი და ეფექტური დამუშავების უზრუნველსაყოფად“**

საქსტატს საერთაშორისო თანამშრომლობისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მდიდარი გამოცდილება დაუგროვდა ოფიციალური სტატისტიკის წარმოების თანამედროვე მეთოდებისა და სტატისტიკური პროდუქტების მოდერნიზაციის კუთხით. საქსტატი

წარმატებით იყენებს მონაცემთა შეგროვების თანამედროვე მეთოდებს და გეგმავს განაგრძოს განვითარება ამ მიმართულებით. გრძელდება მუშაობა მონაცემთა წარმოების სისტემების განვითარების მიმართულებით, მონაცემთა დამუშავების პროცესების ავტომატიზაციის დონის ამაღლებისა და ხელით მუშაობის შემცირების მხრივ.

მოცემული სტრატეგიული ამოცანის ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტივობას წარმოადგენს პროცესებზე ორიენტირებული ორგანიზაციული სტრუქტურისკენ სვლა და საქსტატში სტატისტიკური ბიზნეს პროცესის ზოგადი მოდელის – GSBPM-ის დანერგვა. 2024-2026 წლებისთვის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტი (Twinning) მოიცავდა საქსტატის GSBPM-ზე გადასვლის მხარდაჭერის კომპონენტსაც. პროცესი ითვალისწინებდა ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმატებულ მაგალითებზე სტატისტიკის სამსახურებთან მჭიდრო თანამშრომლობას, GSBPM-ისა და GAMSO-ს წარმატებით დანერგვის გამოცდილების გაზიარების ჩათვლით. სტატისტიკური ორგანიზაციის საქმიანობის ზოგადი მოდელი – GAMSO ხელს უწყობს GSBPM-ის აქტივობების არეალის გაფართოებას, განსაკუთრებით კორპორაციული მხარდაჭერის ნაწილში (მაგალითად, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ადამიანური რესურსების მართვა). ამ მიმართულებით მუშაობა დაწყო 2024 წლის ივლისში, როდესაც პირველი სამუშაო ვიზიტით საქსტატს ეწვივნენ ფინეთის სტატისტიკის სამსახურის გენერალური დირექტორის მოადგილე და ტვინინგის პროექტის შესაბამისი კომპონენტის ლიდერი. ორდღიანი მისიის მიზანს წარმოადგენდა საქსტატში არსებული მდგომარეობის გაცნობა, პროექტის ერთ-ერთი კომპონენტის (სტანდარტებისა და კლასიფიკატორების მეთოდოლოგიური შესაბამისობის უზრუნველყოფა) განხორციელებისთვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება და სამომავლო გეგმების დასახვა. მომდევნო მისიებით იმავე საკითხზე ექსპერტები საქსტატს ეწვივნენ ასევე 2024 წლის ოქტომბერში, ნოემბერსა და დეკემბერში. ერთ-ერთი მისიის განმავლობაში საქსტატის თანამშრომლებისთვის ექსპერტებმა ჩაატარეს ორდღიანი ტრენინგი-ვორქშოფი (2024 წლის 11-12 დეკემბერი) ამ სტანდარტული მოდელების საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით. ამ ქვეკომპონენტისთვის დაგეგმილი ევროკავშირის (ფინეთი, გერმანია, იტალია) ექსპერტების 7 მისიიდან 2024-2025 წლებში შედგა 6 მისია. შერჩეული გამოკვლევებისთვის მომზადდა პროცესების დეტალური აღწერა, მოხდა მათი გადატანა ArchiMate-ის პროგრამაში. ასევე, ადამიანური რესურსების მართვის სტრუქტურული ერთეულის მიერ მომზადდა ინფორმაცია პერსონალის კომპეტენციების შესახებ, განხორციელდა თანამშრომელთა უნარების შეფასება საქსტატის დარგობრივ დეპარტამენტებსა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტში. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავებული იქნა თანამშრომელთა პროფესიული განვითარების გეგმა 2026-2027 წლებისათვის. 2025 წლის ივნისში გათვალისწინებული იყო „ჩეინჯ ჩემპიონების“ (მოდერნიზაციის პროცესის წარმმართველი ლიდერების) ტრენინგის (საქსტატის ხელმძღვანელობის დონეზე) ჩატარება, რაც ვერ განხორციელდა Twinning-ის პროექტის შეწყვეტის გამო. საანგარიშო წლის მეორე ნახევარში მომზადდა GSBPM მოდელზე გადასვლის ეტაპობრივი სამოქმედო გეგმა, რომლის თანახმადაც ახალი სტრუქტურის მოდელის პილოტირება დაიგეგმა საქსტატის შერჩეულ სტრუქტურულ ერთეულში. ეს უკანასკნელი გათვალისწინებულია მომდევნო ორწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

Twinning-ის პროექტის ფარგლებში დაიწყო მუშაობა ასევე ხარისხის თვითშეფასების კითხვარის დანერგვაზე, რომელიც ეფუძნება ევროპის სტატისტიკური სისტემის გამოკვლევების ხარისხის სისტემური თვითშეფასების ზოგად კითხვარს (DESAP). მომზადდა

კითხვარის ადაპტირებული ვერსია ქართულ ენაზე, რომელიც შეთანხმდა ევროკავშირის ექსპერტებთან. სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტის შრომის სტატისტიკის სამმართველოსთან ერთობლივად ჩატარდა „სამუშაო ძალის გამოკვლევის“ პილოტური თვითშეფასება, რომლის შედეგები განხილული იქნა 2025 წლის მარტის მისიის დროს. ევროპელ ექსპერტებთან კონსულტაციის შედეგად მიღებული იქნა გადაწყვეტილება DESAP-ის უახლესი, GSBPM-თან მისადაგებული ვერსიის გადმოქართულება/ადაპტირების თაობაზე. კითხვარის განახლებული ვერსია მომზადდება 2026 წელს.

ამ ამოცანის განხორციელების ორი ინდიკატორია განსაზღვრული:

ინდიკატორი 1.3.1. წლიური სტატისტიკის გავრცელების საშუალო დრო:

საბაზისო მაჩვენებელი: 294 დღე;

სამიზნე მაჩვენებელი:

შუალედური: 289 დღე;

საბოლოო: 284 დღე.

ინდიკატორი 1.3.2. კვარტალური სტატისტიკის გავრცელების საშუალო დრო:

საბაზისო მაჩვენებელი: 52 დღე;

სამიზნე მაჩვენებელი:

შუალედური: 47 დღე;

საბოლოო: 42 დღე.

პროცესებზე ორიენტირებულ ორგანიზაციულ სტრუქტურაზე გადასვლა განაპირობებს ეფექტიანობის ზრდას და ოფიციალური სტატისტიკის უფრო დაჩქარებულ წარმოებას, მომხმარებლის საჭიროებების დროულად დაკმაყოფილების მიზნით. სამოქმედო გეგმის განხორციელების განმავლობაში გატარებული აქტივობების ხარჯზე რამდენიმე სტატისტიკური გამოკვლევის პროცესის ოპტიმიზაცია განხორციელდა, რაც შესაბამისად აისახა ამოცანის შედეგის ინდიკატორის საბაზო მაჩვენებელთან შედარებით გაუმჯობესებულ მაჩვენებელში.

დეტალური ინფორმაცია შესრულებული აქტივობების შესახებ იხილეთ სტატუსანგარიშში. ყველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით:

- ✓ **ამოცანა 1.3-ის შედეგის ინდიკატორებიდან ორივეს სამიზნე მაჩვენებელი მიღწეულია: პირველი ინდიკატორის მიმდინარე მაჩვენებელია 287 დღე** (მიღწეულია შუალედური სამიზნე მაჩვენებელი), **ხოლო მეორე ინდიკატორის – 42 დღე** (მიღწეულია საბოლოო სამიზნე მაჩვენებელი). **აქტივობების განხორციელების დონის საფუძველზე პროგრესის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 100%.**

- **ამოცანა 1.4 „ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და მონაცემთა საიმედო დაცვის უზრუნველყოფა“**
  ამ ამოცანის განხორციელების ერთი ინდიკატორია განსაზღვრული:

ინდიკატორი 1.4.1. საქსტატის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის (ISMS) ISO/IEC 27001 სტანდარტთან შესაბამისობა:

საბაზისო მაჩვენებელი: არ შეესაბამება სტანდარტს ISO/IEC 27001;

სამიზნე მაჩვენებელი:

შუალედური: არ შეესაბამება სტანდარტს ISO/IEC 27001;

საბოლოო: შეესაბამება ISO/IEC 27001 სტანდარტს.

2024-2027 წლების სტატისტიკის სისტემის განვითარების სტრატეგიის ამბიციური მიზნების მისაღწევად, სწრაფი ტექნოლოგიური წინსვლის გათვალისწინებით, მონაცემთა მომხმარებლისა და მფლობელის ნდობის შესანარჩუნებლად, საქსტატი გეგმავს თავისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მოდერნიზებას და მონაცემთა უსაფრთხოების შემდგომ გაძლიერებას. დაგეგმილი ღონისძიებები ხელს შეუწყობს მონაცემთა მოქნილ, გამჭვირვალე და უსაფრთხო მართვას.

ამ მიმართულებით განხორციელებული აქტივობების შედეგად საქსტატის კვლევების კითხვარი გაშვებულია ახალ ონლაინ სისტემაში, განხორციელდა Mysql მონაცემთა ბაზის ცვლილება, დაინერგა MongoDb და PostgreSQL მონაცემთა ბაზები. ახალი ონლაინ კითხვარების სისტემა დაეფუძნა ე.წ. კონსტრუქტორს, რომლის მეშვეობითაც იწყობა კითხვარები. დასრულდა წლიური კითხვარების დეველოპმენტი აღნიშნული კონსტრუქტორის და მონაცემთა ბაზების მეშვეობით.

გარდა ამისა, განახლდა მონაცემების კონფიდენციალურობის პოლიტიკის დოკუმენტი ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს ახალი კანონის შესაბამისად და გამოქვეყნდა საქსტატის ოფიციალური ვებსაიტის შესაბამის გვერდზე.

დეტალური ინფორმაცია შესრულებული აქტივობების შესახებ იხილეთ სტატუსანგარიშში.

- ✓ **ამოცანის 1.4 შედეგის მაჩვენებელი ამ ეტაპზე უცვლელია.** ინდიკატორის შესაფასებლად დაგეგმილია საინფორმაციო სისტემის (IT) აუდიტის ჩატარდება დამოუკიდებელი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კომპანიის მიერ. აუდიტის პროცესში კომპანია შეაფასებს საქსტატის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის შესაბამისობას ISO/IEC 27001 სტანდარტთან. **სამოქმედო გეგმაში შესაბამისი აქტივობების განხორციელების დონის საფუძველზე პროგრესის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 100%**.

- **ამოცანა 1.5 „მოქნილი და თანამედროვე სამუშაო გარემოს შექმნა“**

2024-2027 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიით გათვალისწინებული ამბიციური გეგმის შესრულება, მოსახლეობის და

სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჩათვლით, შეუძლებელი იქნებოდა ასევე ადეკვატური ადამიანური რესურსების გარეშე.

შეზღუდული ადამიანური რესურსები და განსაკუთრებით ახალგაზრდა კადრების მაღალი დენადობა კვლავ რჩება საქსტატისა და სტატისტიკის ეროვნული სისტემის სხვა წევრებისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად.

ამ ამოცანის განხორციელების ერთი ინდიკატორია განსაზღვრული:

ინდიკატორი 1.5.1. თანამშრომლების დენადობის დონე:

საბაზისო მაჩვენებელი: 7%;

სამიზნე მაჩვენებელი:

შუალედური: 6%;

საბოლოო: 5%.

შეზღუდული ადამიანური რესურსები და შრომის ანაზღაურების არასაკმარისი დონე მოხსენიებულია ბოლო გლობალურ (სტრატეგიულ) შეფასებაშიც. ევროკავშირში ინტერგაციის გზაზე მოსამზადებელი სამუშაოების სათანადოდ შესრულებისა და, განსაკუთრებით, დამატებითი მონაცემების წარმოების საჭიროების გამო შრომით რესურსებზე გაზრდილ მოთხოვნასთან დაკავშირებით, არსებული შემადგენლობის შენარჩუნების მიზნით საქსტატმა უზრუნველყო თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ეტაპობრივი მატება ბოლო ოთხი წლის განმავლობაში. სახელფასო განაკვეთის ზრდა მოხდა საანგარიშო პერიოდშიც. ამასთან, საქსტატი ახორციელებს ჰიბრიდულ სამუშაო განრიგზე უფრო გაფართოებულ გადასვლას, რათა თანამშრომლებისთვის უზრუნველყოს მეტად მოქნილი სამუშაო გარემო, შეუმციროს მათ მგზავრობაზე დახარჯული დრო და ხარჯები. თავდაპირველად ეს მიდგომა პილოტირებული იქნა ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტში. მიღებული გადაწყვეტილება ეფექტური აღმოჩნდა სამუშაო პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით, რომლის შედეგების გათვალისწინებით ჰიბრიდული სამუშაო გრაფიკი დაინერგა თანამშრომელთა გარეული ნაწილისთვის სამუშაოს სპეციფიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით და ამ ეტაპზე თანამშრომლების დაახლოებით 10%-ს მოიცავს (ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტში დასაქმებულთა ჩათვლით).

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საქსტატის თანამშრომლებისთვის პროფესიული განვითარების შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად შემუშავდა თანამშრომლების პროფესიული განვითარების გეგმა და განხორციელდა სატრენინგო პროგრამები, საქსტატის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. ეფექტური შიდა კომუნიკაციისთვის შეიქმნა ინტრანეტი.

- ✓ **ამოცანა 1.5-ის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებელი მიღწეულია და საანგარიშო წელს 5% შეადგინა** (წინა წლის მაჩვენებელი – 3%). მომდევნო 2 წლის გეგმაა მისი სამიზნე მაჩვენებლის ფარგლებში შენარჩუნება. **აქტივობების განხორციელების დონის საფუძველზე პროგრესის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 100%.**

3.2. სტრატეგიული მიზანი 2. ნდობისა და თანამშრომლობის გაძლიერება მონაცემთა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისა და მონაცემთა მართვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების მიზნით

ნდობასა და ურთიერთსასარგებლო ურთიერთობებზე პარტნიორობის ჩამოყალიბება მონაცემთა საფუძველზე ორიენტირებული თანამშრომლობის მამოძრავებელია, რაც ხელს უწყობს მონაცემთა მართვის ეფექტური და გამჭვირვალე სისტემის განვითარებას. „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონში ასახული ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპები, როგორიცაა, მაგალითად, პროფესიული დამოუკიდებლობა, საქსტატს სტატისტიკის ეროვნული სისტემის ყველა წევრისთვის ხარისხის სტანდარტული ჩარჩოს განსაზღვრის საშუალებას აძლევს. ეს, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მონაცემთა მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის ურთიერთნდობის ამაღლებასა და მონაცემთა ერთიანი ეკოსისტემის გაზიარებას, რომლის ფარგლებშიც ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება ზუსტი და სანდო მონაცემები. მოცემული სტრატეგიული მიზანი მიმართულია სტატისტიკის ეროვნული სისტემის ფარგლებში და, ასევე, საერთაშორისო პარტნიორებთან, კერძოდ, ევროკავშირის სტატისტიკურ თანამეგობრობასთან დიალოგის გააქტიურებაზე. ამ მიზნის ქვეშ თავმოყრილი ამოცანების შესაბამისი აქტივობების განხორციელების დონე წარმოდგენილია სტატუსანგარიშში მოცემული აქტივობების სტატუსების საფუძველზე (იხ. დიაგრამა № 9).

დიაგრამა № 9. 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის II მიზნის აქტივობების პროცენტული/ რაოდენობრივი განაწილება მათი სტატუსების მიხედვით



ქვემოთ მოცემულია დეტალური ინფორმაცია მეორე მიზნის ქვეშ ჩამოყალიბებული ორი ძირითადი ამოცანის შესახებ.

- **ამოცანა 2.1 „ოფიციალური სტატისტიკის წარმოების პროცესში საქსტატის როლის გაძლიერება კოორდინაციისა და მონაცემთა მართვის მიმართულებით“**

2023 წელს მიღებული „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი სრულ შესაბამისობაშია ოფიციალური სტატისტიკის შესახებ მოდელურ კანონთან და ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსთან. კანონი საქსტატს ოფიციალური სტატისტიკის მთავარ მწარმოებლად აღიარებს და ხაზს უსვამს მის როლსა და მნიშვნელობას სტატისტიკის ეროვნული სისტემის კოორდინირებაში. მოცემული სტრატეგიული ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები ფოკუსირებულია სტატისტიკის ეროვნული სისტემის ფარგლებში სტატისტიკის მწარმოებლებისა და ინფორმაციის მფლობელების თანამშრომლობის გაღრმავებაზე როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. კერძოდ, ღონისძიებები მიმართულია უწყებათაშორის თანამშრომლობაზე, თემატური სამუშაო ჯგუფების მუშაობის წარმართვაზე, ერთიანი სტანდარტების დანერგვასა და მათ დაცვაზე, რათა ხელი შეეწყოს თავსებადობას, ინტეგრაციასა და სწრაფ რეაგირებას ოფიციალური სტატისტიკის წარმოებაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ურთიერთსასარგებლო პარტნიორობის ჩამოყალიბებას.

ამ ამოცანის განხორციელების ორი ინდიკატორია განსაზღვრული:

ინდიკატორი 2.1.1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების კოორდინაციის გაძლიერების მიზნით საქსტატის მიერ შექმნილი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფების რაოდენობა:

საბაზისო მაჩვენებელი: 1;

სამიზნე მაჩვენებელი:

შუალედური: 2;

საბოლოო: 3.

ამოცანის ფარგლებში ერთ-ერთ მთავარ აქტივობას უწყებათაშორისი საკოორდინაციო მექანიზმის შექმნა წარმოადგენს. საქართველოს მთავრობის 2025 წლის 11 მარტის №70 დადგენილებით „ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ შეიქმნა ახალი საკოორდინაციო მექანიზმი (მუდმივმოქმედი). საბჭოს შემადგენლობაში არიან სტატისტიკური ინფორმაციის მწარმოებელი და ძირითადი მომხმარებელი სამინისტროების (მინისტრის პირველი მოადგილეები ან/და მინისტრის მოადგილეები), საქართველოს ეროვნული ბანკის (პირველი ვიცე-პრეზიდენტი/ვიცე-პრეზიდენტი) და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. უწყებათაშორის საბჭოსთან შექმნილია სამუშაო ჯგუფები, რომელთა მიზანია სექტორული სტატისტიკის საკითხების განხილვა, შესაძლებლობების შეფასება და კონკრეტული მიმართულებების კოორდინაცია. ამ ეტაპზე საბჭოს წევრი უწყებების წარმომადგენლებით დაკომპლექტებულია სამი სამუშაო ჯგუფი: 1) ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი (რომელიც სტრატეგიის შემუშავების მიზნებისთვის

დაკომპლექტებული იყო დროებითი უწყებათაშორისი საბჭოს ქვეშ); 2) სამუშაო ჯგუფი ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებული სტატისტიკის საკითხებზე; 3) სამუშაო ჯგუფი ქალისა და კაცის სტატისტიკის საკითხებზე. ეს პლატფორმა ასევე უზრუნველყოფს მომხმარებლებსა და მწარმოებლებს შორის დიალოგის ფორმატის შექმნას, სადაც უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფების ფარგლებში მომხმარებლებსა და მწარმოებლებს შორის წელიწადში ერთი შეხვედრა მაინც ჩატარდება.

ამ მუდმივმოქმედმა უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ ჩაანაცვლა დროებითი საბჭო, რომელიც საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 აგვისტოს № 308 დადგენილებით შეიქმნა სტრატეგიის შესამუშავებლად და ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს მთავრობის 2025 წლის 11 მარტის № 70 დადგენილებით.

ინდიკატორი 2.1.2. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების კოორდინაციისა და მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე ყოველწლიური უწყებათაშორისი შეხვედრების რაოდენობა:

საბაზისო მაჩვენებელი: 0;

სამიზნე მაჩვენებელი:

შუალედური: 1;

საბოლოო: 2.

მოცემული ინდიკატორი ამოცანის პირველი ინდიკატორის ქმედითობის შესაფასებლადაა შემოღებული. ახალი მუდმივმოქმედი საკოორდინაციო მექანიზმი ხელს უწყობს სტატისტიკური სამუშაოების ფარგლებში კომუნიკაციის სისტემურობას, რაც ასევე ემსახურება კოორდინაციისა და მონაცემთა მართვის მიმართულებით საქსტატის როლის გაძლიერებას.

2025 წლის დეკემბერში ჩატარდა ორი ონლაინ შეხვედრა (Zoom პლატფორმის მეშვეობით) სტატისტიკის ეროვნული სისტემის საკოორდინაციო უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფებისთვის: 1) სამუშაო ჯგუფი ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებული სტატისტიკის საკითხებზე; 2) სამუშაო ჯგუფი ქალისა და კაცის სტატისტიკის საკითხებზე. შეხვედრები იყო საინფორმაციო ხასიათის. ჯგუფის წევრებს წარედგინა საბჭოს მიერ დამტკიცებული ტექნიკური დავალება, რომელიც არეგულირებს სტატისტიკის ეროვნული სისტემის უწყებათაშორისი საკოორდინაციო მექანიზმის ფარგლებში სამომავლო სამუშაო პროცესს. ასევე, ჩაუტარდათ ტრენინგი ძირითადი სტატისტიკური საერთაშორისო სტანდარტების საკითხებზე.

დეტალური ინფორმაცია ამოცანის ფარგლებში შესრულებული აქტივობების შესახებ მოცემულია სტატუსანგარიშში. ზემოხსენებულიდან გამომდინარე:

- ✓ **ამოცანის 2.1 შედეგის ინდიკატორების საბოლოო სამიზნე მაჩვენებლები მიღწეულია – სულ შექმნილია სამი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი და ჩატარებულია 2 უწყებათაშორისი შეხვედრა. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების პროგრესის საშუალო მაჩვენებელმა 100% შეადგინა.**

- **ამოცანა 2.2 „საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, საქსტატის, როგორც სანდო პარტნიორის პოზიციონირება ევროკავშირის სტატისტიკურ საზოგადოებაში და აქტიური ჩართულობა გლობალური სტატისტიკის განვითარებაში“**

საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებით გაიზარდა საქსტატისთვის საერთაშორისო თანამშრომლობის პერსპექტივები, შესაძლებლობები ევროკავშირის სტატისტიკურ საზოგადოებაში მისი შემდომი ინტეგრაციისთვის, გააუმჯობესოს პარტნიორული ურთიერთობები სხვა სტატისტიკურ უწყებებთან, საუკეთესო პრაქტიკის გაცვლისა და ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერების კუთხით, სტატისტიკის წარმოების მოდერნიზაციის, მონაცემთა შეგროვების ალტერნატიული მეთოდების, რესპონდენტებზე დატვირთვის შემცირების მიმართულებით და ა.შ. აღნიშნული მიმართულებებით დაგეგმილი ღონისძიებები მოიცავს შესაბამის სტატისტიკურ ფორუმებსა და გლობალურ ინიციატივებში მონაწილეობას, საქსტატის ხელმძღვანელობისა და წამყვანი სპეციალისტების გაზრდილ წარმომადგენლობით შესაძლებლობებს ევროსტატის სტრუქტურებსა და თემატურ სამუშაო ჯგუფებში, პოტენციური ახალი საერთაშორისო პარტნიორების გამოვლენას ოფიციალური სტატისტიკის პრიორიტეტული სფეროების განვითარების მხარდასაჭერად, საქართველოში საერთაშორისო კონფერენციებისა და ღონისძიებების ჩატარებას, ოფიციალური სტატისტიკის სფეროში თანამედროვე ტენდენციებისა და უახლესი მიღწევების გაზიარების მიზნით და სხვ. ამავდროულად, საქსტატში დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება მას საშუალებას აძლევს საქართველოში ოფიციალური სტატისტიკის ყველაზე განვითარებული სფეროების საუკეთესო პრაქტიკა და გამოცდილება გაუზიაროს საერთაშორისო პარტნიორებს.

2024 წლის ივლისში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) 105 წლის იუბილესა და გენდერული სტატისტიკის წარმოების 25-წლიან თარიღთან დაკავშირებით, თბილისში საერთაშორისო კონფერენცია - „გენდერული სტატისტიკა - ინკლუზიური განვითარების პროგრესის დაჩქარებისთვის“ (Accelerating progress towards inclusive development through gender statistics) გაიმართა. კონფერენცია, რომელიც საქსტატისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ინიციატივით ჩატარდა, ორი დღის განმავლობაში გაგრძელდა. საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის წევრი, ასევე კანდიდატი ქვეყნების, აღმოსავლეთ პარტნიორობისა (EaP) და ცენტრალური აზიის ქვეყნების სტატისტიკის სამსახურების ხელმძღვანელმა პირებმა და საერთაშორისო ორგანიზაციების მაღალი დონის წარმომადგენლებმა. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს სამთავრობო უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სამეცნიერო წრეებისა და ქვეყანაში აკრედიტებული საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კონფერენციის მონაწილეებმა შვიდი თემატური სესიის ფარგლებში განიხილეს გენდერული მონაცემების მართვის საკითხები ეფექტური გადაწყვეტილების მისაღებად, დროის გამოყენების გამოკვლევა, გენდერული სახელფასო სხვაობა, ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის გამოკვლევის შედეგები, გენდერული თანასწორობის ინდექსი, გენდერული მონაცემების სრულყოფასთან დაკავშირებული და სხვა პრიორიტეტული საკითხები.

გარდა ამისა, საერთაშორისო პარტნიორებთან გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით აღსანიშნავია უზბეკეთის რესპუბლიკის სტატისტიკის ეროვნული კომიტეტის სტუმრობა საქსტატში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და უზბეკეთის რესპუბლიკის სტატისტიკის ეროვნული კომიტეტის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, 2025 წლის სექტემბერში საქსტატში უზბეკი კოლეგები იმყოფებოდნენ.

საქსტატის თანამშრომლებმა უზბეკ კოლეგებს თავიანთი გამოცდილება და სამუშაო პრაქტიკა გაუზიარეს. შეხვედრები ორ პარალელურ ჯგუფად წარიმართა. ძირითად ჯგუფში ყურადღება გამახვილდა სტრატეგიულ საკითხებზე, მათ შორის სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვისა და კოორდინაციის, მონაცემთა ხარისხის და მონაცემთა ალტერნატიული წყაროების გამოყენებაზე. ხოლო მეორე ჯგუფში განიხილეს ისეთი დარგობრივი სტატისტიკური სფეროები, როგორიცაა მრეწველობა, ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა, მომსახურება, ინვესტიციები, დემოგრაფია და შრომის სტატისტიკა. საქსტატის სხვადასხვა დარგობრივი დეპარტამენტის თანამშრომლებმა უზბეკური დელეგაციის წევრებს გაუზიარეს საქართველოს გამოცდილება. შეხვედრებზე განხილული იყო გამოკვლევის თანამედროვე მეთოდები, მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, ანალიზისა და გავრცელების არსებული პრაქტიკა. ვიზიტის დროს ხაზი გაესვა საქსტატის მზადყოფნას, წვლილი შეიტანოს რეგიონში სტატისტიკური პრაქტიკის განვითარებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობაში.

2025 წლის 1-3 ოქტომბერს საქსტატმა გენდერული სტატისტიკის მე-10 გლობალურ ფორუმს უმასპინძლა, სასტუმრო „ბილტმორში“. ღონისძიება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და გაეროს სტატისტიკის სამმართველოს (UNSD) ორგანიზებით გაიმართა. ღონისძიებას დაესწრო 30-მდე ქვეყნისა და 17 საერთაშორისო ორგანიზაციის 200-მდე მონაწილე, მათ შორის სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკის სამსახურების ხელმძღვანელი პირები, საერთაშორისო ორგანიზაციების, სამთავრობო უწყებებისა და სხვა პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლები. ფორუმი წარმოადგენს გლობალურ პლატფორმას, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის, გამოცდილებისა და პრაქტიკული ინსტრუმენტების გაცვლას ქალისა და კაცის სტატისტიკის განვითარების სფეროში. ფორუმი, რომლის ძირითადი დევიზი არის „ცვლილებების მართვა გენდერული სტატისტიკის საშუალებით: გზა თანასწორობისკენ“ (Driving Change with Gender Statistics: A Path to Equality), გაეროს გენდერული სტატისტიკის გლობალური პროგრამის ფარგლებში იმართება. ის წარმოადგენს მნიშვნელოვან პლატფორმას, სადაც განიხილება ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, კეთილდღეობისა და მდგრადი განვითარების საკითხები, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და მათი სრულფასოვანი მონაწილეობა სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებში. შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ ძალადობისა და სტერეოტიპების დაძლევის საკითხებს. მონაწილეებმა იმსჯელეს ასევე მიგრაციის პროცესებში გენდერულ ასპექტებზე, ანაზღაურებადი და აუნაზღაურებელი შრომის სტატისტიკასა და დროის გამოყენების გამოკვლევის შედეგებზე. ფორუმზე ყურადღება გამახვილდა პოლიტიკის დაგეგმვისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის ქალისა და კაცის სტატისტიკური მონაცემების მნიშვნელობაზე.

ამ ამოცანის განხორციელების ერთი ინდიკატორია განსაზღვრული:

ინდიკატორი 2.2.1. ევროკავშირის თემატური სამუშაო ჯგუფების და კომიტეტების რაოდენობა, რომლებშიც საქსტატის წარმომადგენლები იღებენ მონაწილეობას:

საბაზისო მაჩვენებელი: 3;

სამიზნე მაჩვენებელი:

შუალედური: 4;

საბოლოო: 6.

საქსტატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და წამყვანი სპეციალისტები აქტიურად არიან ჩართულები ევროსტატის მიერ ორგანიზებული სამუშაო ჯგუფების შეხვედრებსა და ამ ჯგუფების ფარგლებში მიმდინარე პროცესებში; ამ ეტაპზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხმის უფლების გარეშე, ევროკავშირის სტატისტიკის სისტემაში სრულ ინტეგრაციამდე. სამოქმედო გეგმის განხორციელების განმავლობაში **საქსტატის თანამშრომლებმა 7 (შვიდი) სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ორგანიზებულ შეხვედრებში მიიღეს მონაწილეობა.** სამუშაო ჯგუფების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტატუსანგარიშში, შესაბამისი აქტივობის ქვეშ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ამ ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებელი მიღწეულია და სტრატეგიის ფარგლებში დაგეგმილი შემდგომი აქტივობები მოემსახურება მიღწეული პოზიტიური შედეგების შენარჩუნებას**. დეტალური ინფორმაცია შესრულებული აქტივობების შესახებ მოცემულია სტატუსანგარიშში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით:

- ✓ **ამოცანა 2.2-ის შედეგის ინდიკატორი მიღწეულია. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხოციელების დონის საფუძველზე პროგრესის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 100%.**

3.3. სტრატეგიული მიზანი 3. მომხმარებლების მიერ არსებულ მონაცემთა გამოყენების ხელშეწყობა

მიზანი ითვალისწინებს აქტივობებს მომხმარებელზე ორიენტირებული პლატფორმებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, სტატისტიკური მონაცემების მომხმარებლისთვის მეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის. ეს, თავის მხრივ, მომხმარებელთა ფართო სპექტრს მონაცემების ეფექტური ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს. საქსტატის მიერ სტატისტიკური წიგნიერების ასამაღლებლად დაგეგმილი ღონისძიებები ეხმარება მომხმარებლებს მონაცემთა სწორ ინტერპრეტაციასა და ეფექტურ გაანალიზებაში. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის შემდგომი ხელშეწყობის მიზნით, ხორციელდება მონაცემების მომხმარებელთა რეგულარული გამოხმაურებების ანალიზი, რათა უზრუნველყოფილი იქნას მონაცემებთან დაკავშირებულ მოთხოვნაზე დაკვირვება და საჭიროების მიხედვით მონაცემთა ფორმატის ადაპტირება. ამ მიზნის ქვეშ თავმოყრილი ამოცანების შესაბამისი აქტივობების განხორციელების დონე წარმოდგენილია სტატუსანგარიშში მოცემული აქტივობების სტატუსების საფუძველზე (იხ. დიაგრამა № 10).

დიაგრამა № 10. 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის III მიზნის აქტივობების პროცენტული/ რაოდენობრივი განაწილება მათი სტატუსების მიხედვით



ქვემოთ მოცემულია დეტალური ინფორმაცია მესამე მიზნის ქვეშ ჩამოყალიბებული ორი ძირითადი ამოცანის შესახებ.

- **ამოცანა 3.1 „სტატისტიკის შესახებ ცნობიერების და ოფიციალური სტატისტიკისადმი ნდობის ამაღლება და მომხმარებლების მიერ არსებული მონაცემების უფრო აქტიური გამოყენება“**

აღნიშნული ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების შესრულება ხელს უწყობს მოქალაქეების, ხელისუფლებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირების სტატისტიკის შესახებ ცოდნის დონის ამაღლებას. ამასთან, მნიშვნელოვანია სტატისტიკური მონაცემების მომხმარებელთა საერთო სტატისტიკური წიგნიერების გაუმჯობესება.

ამ ამოცანის განხორციელების ორი ინდიკატორია განსაზღვრული:

ინდიკატორი 3.1.1. სტატისტიკის შესახებ ცნობიერების დონე:

საბაზისო მაჩვენებელი: არ არის ხელმისაწვდომი;

სამიზნე მაჩვენებელი:

შუალედური: 54%;

საბოლოო: 60%.

საქსტატი და სისტემის სხვა წევრები ისწრაფვიან გადაწყვეტილების მიღების დროს, პოლიტიკის შემუშავების, მისი მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გაზარდონ სამთავრობო ინსტიტუტების მიერ ოფიციალური სტატისტიკის გამოყენების შესაძლებლობები და უნარები. ტრენინგი ქალისა და კაცის სტატისტიკის წარმოებისა და შესაბამისი მონაცემების პასუხისმგებლობით გამოყენებაზე ჩატარდა შესაბამისი საჯარო მოხელეებისთვის, ხოლო საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსთან თანამშრომლობით, საქსტატის კომპეტენტური პირები გაუძღვნენ ტრენინგებს მუნიციპა-ლიტეტებისთვის ოფიციალური სტატისტიკის გამოყენების საკითხებზე. მკვლევრების მიერ მონაცემების გამოყენება წახალისებულია ანონიმიზებული კონფიდენციალური მონაცემების სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესაძლებლობით. ასევე, საქსტატი თანამშრომლობს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, რათა გამოიყენოს მათი რესურსცენტრები სტატისტიკის პოპულარიზაციისთვის დაწყებითი და საშუალო სკოლების მოსწავლეებში.

ინდიკატორი 3.1.2. ოფიციალური სტატისტიკისადმი ნდობის დონე:

საბაზისო მაჩვენებელი: არ არის ხელმისაწვდომი;

სამიზნე მაჩვენებელი:

შუალედური: 54%;

საბოლოო: 60%.

ამოცანის ქვეშ ყურადღება გამახვილებულია საქსტატისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სისტემის მიმართ საზოგადოების მხრიდან აღიარებასა და ნდობის ამაღლებაზე და, ასევე, ინდივიდუალური და სოციალური ცნობიერების ამაღლებაზე

ოფიციალური სტატისტიკის მნიშვნელობის შესახებ. ეფექტური საკომუნიკაციო სტრატეგია უზრუნველყოფს საზოგადოების, პოლიტიკის გამტარებლებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის სტატისტიკის მნიშვნელოვნებისა და ოფიციალური სტატისტიკის წარმოების პროცესის უკეთ გააზრებას. შედეგების ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის წარმოჩენის მიზნით, დამოუკიდებელ კონსულტანტს/ორგანიზაციას დაევალება საქსტატისა და მთლიანად სტატისტიკის ეროვნული სისტემის სანდოობის გაზომვა. კვლევის ჩატარება დაგეგმილია ორ წელიწადში ერთხელ. პირველი ასეთი ფორმატის კვლევა დაგეგმილი იყო 2025 წელს, თუმცა ობიექტური მიზეზების გამო გადავადდა მომდევნო ორწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში (დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ანგარიშის მე-4 თავში – „გამოწვევები და რეკომენდაციები“).

დეტალური ინფორმაცია შესრულებული აქტივობების შესახებ იხილეთ სტატუსანგარიშში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით:

- ✓ **ამოცანა 3.1-ის ინდიკატორების მაჩვენებლები ამ ეტაპზე არაა ხელმისაწვდომი, კვლევის ჩატარდება დაგეგმილია 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში. სამოქმედო გეგმის აქტივობების განხოციელების დონის საფუძველზე პროგრესის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 89%.**

- ➢ **ამოცანა 3.2 „ოფიციალური სტატისტიკის ხელმისაწვდომობის გაზრდა მონაცემების გავრცელების ახალი და გაუმჯობესებული ინსტრუმენტების მეშვეობით“**

მოცემული სტრატეგიული ამოცანის მიზანია ოფიციალურ სტატისტიკაზე ხელმისაწვდომობის გაფართოება გავრცელების თანამედროვე ინსტრუმენტების შემუშავებისა და დანერგვის გზით, რათა გაუმჯობესდეს კომუნიკაცია როგორც ეროვნულ დონეზე, ისე საერთაშორისო პარტნიორებთან.

ამ ამოცანის განხორციელების ერთი ინდიკატორია განსაზღვრული:

ინდიკატორი 3.2.1 საქსტატის ოფიციალური ვებსაიტიდან ოფიციალური სტატისტიკის ჩამოტვირთების რაოდენობა

საბაზისო მაჩვენებელი: 200 000;

სამიზნე მაჩვენებელი:

შუალედური: 300 000;

საბოლოო: 400 000.

საქსტატი იყენებს მონაცემთა ვიზუალიზაციის თანამედროვე ინსტრუმენტებს კომპლექსურ მონაცემთა ერთობლიობის ინტუიციურ და მოსახერხებელ პროდუქტად გარდაქმნის მიზნით და ფართო საზოგადოებისთვის მონაცემებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის უზრუველსაყოფად. მომხმარებლის შემდგომი ჩართულობის მხარდასაჭერად წახალისებულია შედეგობრივ მონაცემთა წარდგენის პერსონალიზაცია, რაც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს გაფილტრონ მონაცემები საკუთარი სპეციფიკური საჭიროებების შესაბამისად. ამისათვის მონაცემთა ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად იქმნება ახალი პორტალები, უმჯობესდება და ახლდება საიტზე

ხელმისაწვდომი პორტალები. მათ შორის, მიმდინარე სამოქმედო გეგმის ფარგლებში შეიქმნა ენერგეტიკის სტატისტიკის და გარემოს დაცვის სტატისტიკის პორტალები, ასევე, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაახლდა და შეივსო ახალი მონაცემებით ქალისა და კაცის სტატისტიკის, რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის, ბავშვებისა და მოზარდების სტატისტიკის პორტალები.

მომხმარებლების კმაყოფილების დონე ფასდება სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევით, რომელიც 2 წელიწადში ერთხელ ტარდება. ხოლო ოფიციალური სტატისტიკით დაინტერესება და შესაბამისი მონაცემების გამოყენება ფასდება საქსტატის ოფიციალური ვებსაიტიდან ოფიციალური მონაცემების ჩამოტვირთვების რაოდენობით. საანგარიშო პერიოდის დასასრულს საქსტატის ვებსაიტიდან ყველა ხელმისაწდომ ფორმატში არსებული **ინფორმაციის ჩამოტვირთვების ჯამურმა რაოდენობამ 343 084 შეადგინა.**

დეტალური ინფორმაცია შესრულებული აქტივობების შესახებ იხილეთ სტატუსანგარიშში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით:

- ✓ **ამოცანა 3.2-ის ინდიკატორის შუალედური სამიზნე მაჩვენებელი მიღწეულია. ამ ამოცანის აქტივობების განხორციელების დონის საფუძველზე პროგრესის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 100%.**

4. გამოწვევები და რეკომენდაციები

მიმდინარე სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების თვალსაზრისით საანგარიშო პერიოდში არ დაფიქსირებულა რაიმე ტიპის ხელისშემშლელი გლობალური ფორსმაჟორული სიტუაცია და მასთან დაკავშირებული გამოწვევები. თუმცა ეროვნული მნიშვნელობის სტატისტიკური მოვლენა გახლდათ საქსტატისთვის გარკვეული დამატებითი დატვირთვა 2024-2025 წლებში დაგეგმილი აქტივობების პარალელურად, რამაც გამოიწვია ორი აქტივობის განხორციელების ვადის კორექტირება, ხოლო ერთი აქტივობის შემთხვევაში – გადადება შემდგომი სამოქმედო გეგმის ფარგლებში. საუბარია 2024 წლის მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერაზე, რომელსაც წინ უძღოდა ხანგრძლივი მოსამზადებელი სამუშაოები და ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია 2024 წლის დასაწყისში, ხოლო 2025 წლის პირველ ნახევარში – წინასწარი მონაცემების დამუშავებასთან და გამოქვეყნებასთან დაკავშირებული პროცესები. აქტივობები, რომელთა განხორციელების ვადებზე გავლენა იქონია აღწერასთან დაკავშირებულმა სამუშაოებმა, შემდეგია:

აქტივობა 2.1.2 – „ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებული სტატისტიკის საკითხებზე უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნა“ – აქტივობაზე პასუხისმგებელი უწყებაა საქსტატი. საერთაშორისო მეთოდოლოგიების გათვალისწინებით მაღალი ხარისხის ოფიციალური სტატისტიკის წარმოების ხელშეწყობისთვის, პროცესების კოორდინაციის გაძლიერების მიზნით, გადაწყდა ერთიანი საკოორდინაციო მექანიზმის შექმნა. აღწერასთან დაკავშირებით, პროცესის მასშტაბურობიდან გამომდინარე საქსტატი სრულად იყო ჩართული აღწერის პროცესში; შესაბამისად, მოსამზადებელი სამუშაოების საფუძვლიანად გატარების, გამოცდილების საუკეთესო პრაქტიკების მოძიებისა და მათი გათვალისწინების მიზნით, გაიცა რეკომენდაცია აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადა გადაწეულიყო 2025 წლის I კვარტალში. საქართველოს მთავრობის 2025 წლის 11 მარტის № 70 დადგენილებით „ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საფუძველი ჩაეყარა ახალ მუდმივმოქმედ უწყებათაშორის საკოორდინაციო მექანიზმს ეროვნული სტატისტიკური სისტემის ფარგლებში კოორდინაციის ხელშეწყობის მიზნით. საბჭოს პირველი სხდომისას დამტკიცდა უწყებათაშორისი თემატური სამუშაო ჯგუფების ტექნიკური დავალება, რომლის თანახმად შეიქმნა ორი ახალი თემატური სამუშაო ჯგუფი: 1) სამუშაო ჯგუფი ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებული სტატისტიკის საკითხებზე; 2) სამუშაო ჯგუფი ქალისა და კაცის სტატისტიკის საკითხებზე.

აქტივობა 3.1.2 – „ოფიციალური სტატისტიკისადმი ნდობის შეფასების ჩატარება დამოუკიდებელი კონსულტანტის ან კომპანიის მიერ“ – აქტივობაზე პასუხისმგებელი უწყებაა საქსტატი. აღნიშნული გამოკვლევის ჩატარება დაიგეგმა საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. გამოკვლევის დაგეგმვის პირველ ეტაპზე განხორციელდა მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგიის იდენტიფიცირება. შემდგომი ეტაპი – ტექნიკური დავალების მომზადება – დაკავშირებული იყო გარკვეულ სირთულეებთან – სხვადასხვა საერთაშორისო წყაროების მოძიება და შესწავლა, რამაც ასევე მნიშვნელოვანი დრო მოითხოვა. ამასთან, 2024 წელს და 2025 წლის პირველ ნახევარში, აღწერასთან დაკავშირებით, საქსტატის ამ აქტივობაზე პასუხისმგებელი დეპარტამენტი სრულად იყო ჩართული მიმდინარე საორგანიზაციო პროცესებში. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით,

მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აქტივობის გადატანა მომდევნო ორწლიან სამოქმედო გეგმაში.

აქტივობა 3.2.6 – „გარემოს დაცვის სტატისტიკის პორტალის შექმნა“ – აღწერის გამო საქსტატის ამ აქტივობაზე პასუხისმგებელი დეპარტამენტი სრულად იყო ჩართული აღწერის და წინასწარი მონაცემების გამოქვეყნების პროცესში, რის გამოც აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადამ გადაიწია 2025 წლის III კვარტალში. პორტალი ხელმისაწვდომია საქსტატის ვებსაიტზე.

აქვე აღსანიშნავია აქტივობა, რომლის განხორციელების ვადა დაკორექტირდა დონორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის საფუძველზე – **აქტივობა 1.1.11** „ხელფასების სტრუქტურის საპილოტე გამოკვლევის ჩატარება“ – აქტივობაზე პასუხისმგებელი უწყებაა საქსტატი. 2024 წელს განხორციელდა გარკვეული მეთოდოლოგიური სამუშაოები და გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები. თუმცა გამოკვლევასთან დაკავშირებული სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებებით გაიცა რეკომენდაცია აქტივობის განხორციელების გადავადების თაობაზე, ვინაიდან მიზანშეწონილად ჩაითვალა გამოკვლევის საველე სამუშაოების ჩატარება 2025 წლის გაზაფხულზე. შესაბამისად, 2025 წელს ჩატარდა გამოკვლევის საველე სამუშაოები, დამუშავდა მონაცემები, მომზადდა მონაცემთა ბაზა და გამოკვლევის ანგარიში. გამოკვლევის ყველა ეტაპზე ჩართული იყო გაეროს ქალთა ორგანიზაციის ექსპერტი.

აღსანიშნავია ასევე რამდენიმე აქტივობა, რომელთა განხორციელება დაგეგმილი იყო 2020-2023 წლების სტრატეგიის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში. ექსპერტული ტექნიკური დახმარების საჭიროების გამო მათი შესრულება გადაწყდა ევროკავშირის დაფინანსებული საჯარო სამსახურების დაძმობილების 2024-2026 წლების პროექტის (Twinning) „საქართველოს სტატისტიკის სისტემის შემდგომი გაძლიერება“ ფარგლებში. შედეგად ამ აქტივობებმა გარკვეული სახეცვლილებით გადმოინაცვლა 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმაში. თუმცა საანგარიშო წელს პროექტი ვადაზე ადრე შეწყდა, რამაც თავის მხრივ გარკვეული კორექტივები მოითხოვა განხორციელების თვალსაზრისით. ესენია:

აქტივობა 1.1.12 – „NUTS კლასიფიკაციის დანერგვის მოსამზადებელი სამუშაოები“ – აქტივობაზე პასუხისმგებელი უწყებაა საქსტატი. ამ აქტივობის განხორციელება გულისხმობს ევროსტატის რეგიონული სტატისტიკის NUTS კლასიფიკაციის საქართველოში დანერგვის „ჰარმონიზაციის გეგმის“ შესრულებასაც. მიმდინარე სამუშაოებში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო. საქართველოში EU NUTS ნომენკლატურის დანერგვისთვის ტექნიკური დახმარება გათვალისწინებული იყო Twinning-ის პროექტის 1-ელი კომპონენტის („სტანდარტებისა და კლასიფიკაციების ევროკავშირის მოთხოვნებთან მეთოდოლოგიური შესაბამისობის ამაღლება“) მე-2 ქვეკომპონენტით – 1.2. „EU NUTS კლასიფიკაციის დანერგვა“. 2025 წლის ივნისში Twinning-ის პროექტის შეწყვეტის გამო ამ კლასიფიკაციის დასანერგად გათვალისწინებული სამუშაოები სრულად ვერ განხორციელდა. შესაბამისად, ამ კლასიფიკაციის მიხედვით ევროსტატის რეკომენდაციების შესაბამისი რეგიონული სტატისტიკური მაჩვენებლების წარმოება დაიგეგმა 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში;

აქტივობა 1.3.4 – „სტატისტიკური ბიზნეს პროცესის სტანდარტული მოდელის (GSBPM) შესაბამისად სტატისტიკური პროცესების მოდერნიზაციისთვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება“ – აქტივობაზე პასუხისმგებელი უწყებაა საქსტატი. სტატისტიკური

ინფორმაციის წარმოების სტანდარტული მოდელის (GSBPM) შესაბამისად სტატისტიკური პროცესების მოდერნიზაციისთვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება დაგეგმილი იყო Twinning-ის პროექტის 1-ელი კომპონენტის („სტანდარტებისა და კლასიფიკაციების ევროკავშირის მოთხოვნებთან მეთოდოლოგიური შესაბამისობის ამაღლება“) 1-ელი ქვეკომპონენტით – 1.1. „სტატისტიკური პროცესების მოდერნიზაცია GSBPM-ის შესაბამისად“. ამავე კომპონენტის ქვეშ დაიგეგმა ასევე საქსტატის ადამიანური რესურსების მართვის სტრუქტურული ერთეულის მიერ „თანამშრომელთა პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება“ – **აქტივობა 1.5.3.** ამ ქვეკომპონენტისთვის დაგეგმილი ევროკავშირის (ფინეთი, გერმანია, იტალია) ექსპერტების 7 მისიიდან 2024-2025 წლებში შედგა 6 მისია. ახალ მოდელზე გადასვლასთან დაკავშირებული მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებში, ექსპერტების ტექნიკური დახმარებით, შერჩეული გამოკვლევებისთვის მომზადდა პროცესების დეტალური აღწერა, მოხდა მათი გადატანა ArchiMate-ის პროგრამაში. ასევე, ადამიანური რესურსების სამმართველოს მიერ მომზადდა ინფორმაცია პერსონალის კომპეტენციების შესახებ, განხორციელდა თანამშრომელთა უნარების შეფასება საქსტატის დარგობრივ დეპარტამენტებსა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტში. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავებული იქნა თანამშრომელთა პროფესიული განვითარების გეგმა 2026-2027 წლებისათვის. 2025 წლის ივნისში გათვალისწინებული იყო „ჩეინჯ ჩემპიონების“ (მოდერნიზაციის პროცესის წარმმართველი ლიდერების) ტრენინგის (საქსტატის ხელმძღვანელობის დონეზე) ჩატარება, რაც ვერ განხორციელდა Twinning-ის პროექტის შეწყვეტის გამო. საანგარიშო წლის მეორე ნახევარში მომზადდა GSBPM მოდელზე გადასვლის ეტაპობრივი სამოქმედო გეგმა, რომლის თანახმადაც ახალი სტრუქტურის მოდელის პილოტირება დაიგეგმა საქსტატის შერჩეულ სტრუქტურულ ერთეულში მომავალი ორწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

მიმდინარე სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობებიდან გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ვერ დასრულდა მუშაობა და მიმდინარე სტატუსითაა 4 აქტივობა. ამ აქტივობების მიმართულებით მუშაობა გრძელდება. ეს აქტივობებია:

აქტივობები: 1.1.25 „უცხოურ ვალუტით განხორციელებული ოპერაციების FEX ოჯახის მონაცემების გაფართოება“ და **1.1.26** „სწრაფი ფულადი გზავნილების სტატისტიკის MTR ოჯახის მონაცემების გაფართოვება“ – აქტივობებზე პასუხისმგებელია საქართველოს ეროვნული ბანკი. შეზღუდული IT რესურსების გამო, საინფორმაციო ტექნოლოგიების მიერ შეფერხებით მიმდინარეობს სებსტატში ახალი FXD ოჯახის დანერგვის პროცესი. ასევე, ჯერ კიდევ სატესტო რეჟიმში მიმდინარეობს ბანკების მიერ სებსტატის სატესტო საიტზე ყოველდღიური MTD მონაცემების ატვირთვა, ხოლო ეროვნული ბანკის მხრიდან – ბანკების მიერ ატვირთული მონაცემების ხარისხის კონტროლი და არსებულ MTR ყოველთვიურ მონაცემებთან შედარება. 2026 წელს იგეგმება რეალურ გარემოში გადატანა. ამ ორი აქტივობის მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, ისინი გადატანილია მომდევნო ორწლიან სამოქმედო გეგმაში.

აქტივობა 1.2.1 – „საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის მიმართულებით ადმინისტრაციული მონაცემების ხარისხის გაუმჯობესება და EUROSTAT Compendium (SRC)-ის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა“ – აქტივობაზე პასუხისმგებელია სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო და შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება. უკვე მუშაობს „საზღვაო ერთი ფანჯრის პრინციპის“ სისტემა და მიმდინარეობს მუშაობა „Fort Community“-ის პროგრამისათვის, რამაც გარკვეული

დამატებითი დრო მოითხოვა ევროსტატის ხარისხის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, აქტივობა, მისი მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, გადატანილია მომდევნო ორწლიან სამოქმედო გეგმაში.

აქტივობა 1.2.6 – „რეინტეგრაციის (-დაბრუნებული ემიგრანტები-) მონაცემეთა ბაზის შექმნა“ – აქტივობაზე პასუხისმგებელი უწყებაა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. აქტივობის განხორციელების მიზნით გაფორმდა საგრანტო შეთანხმება დონორსა და სამინისტროს სსიპ „ინცორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოს“ შორის, მომზადდა ტექნიკური დავალება და მიმდინარეობს დეველოპმენტი. მონაცემთა ბაზა დასრულდების ფაზაშია, ამიტომ მიზანშეწონილად არ ჩაითვალა ამ აქტივობის დაასრულებისთვის გათვალისწინებული ღონისძიებების გაწერა მომდევნო სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

დეტალური ინფორმაცია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პრიორიტეტული მიზნების, ამოცანების და მათი შესაბამისი აქტივობების შესრულების შესახებ წარმოდგენილია სტატუსანგარიშის სახით.

დანართი: სტატუსანგარიში – 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგები (იხ. თანდართული ფაილი „NSDS 2024-2027_სტატუსანგარიში 2025“)